25.07.2013 W № 27

საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 221/26
„ 23 " 07 2013

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს (GRASS)
ბატონ სერგი კაპანაძეს
მის.: ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №15

ბატონო სერგი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2013 წლის 19 ივლისის №85 წერილი (სარეგისტრაციო ნომერი 135/25, 19.07.2013), რითაც ითხოვთ, თუ რამდენი დასკვნა (ანგარიში) იქნა გადაგზავნილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2011 წელს მთავარ პროკურატურაში და მოხდა თუ არა მათზე რაიმე სახის რეაგირება.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2011 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მთავარ პროკურატურაში გადაგზავნილ იქნა მხოლოდ ორი დასკვნა (ანგარიში), კერძოდ:

- სსიპ „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის“ 2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მასალები ანგარიშთან ერთად;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მასალები ანგარიშთან ერთად.

აქვე გაცნობებთ, რომ სახელწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მთავარ პროკურატურაში გადაგზავნილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, განხორციელდა თუ არა მთავარი პროკურატურის მიერ რაიმე სახის რეაგირება, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ლევან ლობჟანიძე

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195